

0 3 6

შანი 10 ა.

0 3 6

0 3 0

30 ნომერი
1 9 3 0

N 44

12 585



ოკორტუნისტი: — შენ არ მოშვიკვლე... როგორ გკადრება.. შენს ლალატს გავივლებ ვულში?
მუშა: — შენი არც ფიცი მწამს და არც ბოლო მაკვირებს!

მკლიპული გლით

პავლე თვალთმაქცაძე ხშირად იტყოდა ხოლმე თავისიანებში:

— პოლიტიკაში მოქნილი უნდა იყო. ტყვილი გოდრით უნდა დაგჭონდეს და ნილაბი მუდამ უნდა გეფაროსო...

და მართლაც პავლე შენთან შენი იყო, და მასთან მისი.

— სულელი ვარ, ხალხი მივიმდღურო? — ამბობდა ის. პავლეს ვერაფერს გაუგებდი — რას ფიქრობდა და როგორი შეხედულების იყო ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხის შესახებ.

ხან ასე ამბობდა, ხან — ისე.

— სიფრთხილეს თავი არ ტკივაო, — იტყოდა თავისთვის.

თავის სიტყვიერ თუ წერილობით გამოსვლებს პავლე პოლიტიკურ „ამინდს“ უფარდებდა.

პარტიის გენერალურ ხაზს „თავგამოდებით“ იცავდა, როცა პარტიის ხელმძღვანელებთან, ან ისეთ პარტიულლებთან ექნებოდა ბაასი, რომლებიც შეუღერეკლად და ბოლშევიკურად ატარებდნენ ლენინურ პარტიის გენერალურ ხაზს.

— დასაზვრეტია ყველა ეს მემარჯვენეები და „მემარცხენეები“. წყალს გვიმღვრევენ. აღმშენებლობაში ხელს გვიშლიან! — გაიძახოდა ის.

სამაგიეროთ პავლეს პრაქტიკა სულ სხვა იყო: მემარჯვენეებს ის თავისიანათ მიაჩნდათ, „მემარცხენეებიც“ თავის კაცად სთვლიდნენ.

— სულთ და გულით თქვენთან ვარ! — ეუბნებოდა ის მემარჯვენეებს.

— მე ხომ მუდამ „მემარცხენე“ ვიყავი! — უმტკიცებდა ის „მემარცხენეებს“.

მაგრამ სიტყვას საქმე ესაჭიროებოდა.

ხუმრობა ხომ არ იყო „ორი კერპისთვის თავყანის-ცემა“. მას უნდა შეენარჩუნებია ერთგულება, როგორც მემარჯვენეების, ისე „მემარცხენეების“ მიმართ.

ამ გარემოებამ ის დააფიქრა.

ერთ დღეს ის არაჩვეულებრივ მხარულ ხასიათზე დადგა.

— იცი, თამრიკო, რა მოვიფიქრე? — ალერსით მიმართა მან თავის ცოლს, — ხვალ ჩვენსას კრება უნდა მოვიწვიო მემარჯვენეების და „მემარცხენეების“. აბა შენ იცი, როგორი დიასახლისი იქნები! — და მან აუხსნა მას კრების მიზანი.

— ჰმ, თავო ჩემო, განა დღემდის ეს ვერ გავიგე? განა მემარჯვენეები და „მემარცხენეები“ ერთი თიხისა-გან არ არიან გაკეთებულნი!? — ამბობდა პავლე და კრებისათვის ემზადებოდა.

— მე თქვენი ველარაფერი გამიგია, — ეუბნებოდა ის მის ბინაზე შეკრებულ მემარჯვენე-„მემარცხენეებს“.

— რა გაქვთ თქვენ გასაყოფი? მიზანი თქვენი ხომ ერთია: პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა. განა ერთად ბრძოლა უმჯობესი არ იქნება?!


პავლეს აზრი ყველას მოეწონა.

— მართალია, სწორია, ხელი ხელს მიეცეთ! — გაიძახოდნენ მემარჯვენე-„მემარცხენეები“, რომლებიც იმ დღიდანვე შეუღვენ ანტი-პარტიულ მოუშაობას. მათ „ბლოკს“ დიდი ხანი არ უარსებია, მათი მოლაპარაკური მოქმედება გამოაშკარავებულ იქნა და „ბლოკისტების“ ხოხოლა დანგრა.

პავლე თვალთმაქცაძე სხვა „ბლოკისტებთან“ ერთად პარტიიდან გამოძევებულ იქნა.

— ვაი, ჩემო თავო, სად გამისხლტა ფეხი. რა ცუდი ყოფილა მოლიპული გზით სიარული! — ცხვირ დამტკრეული ამბობდა პავლე და მძიმე მღგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

უშვხარა.



— კაცს ამდენი ბამბა ჰქონებია უურეში და როგორ უნდა გავეო ამბავ ბამბის კამპანიის თავის დროზე ჩატარების შესახებ?

— შენ არ მომიკვდ, ვე ტემკეზი ჩვენ არ გამოგვადგებოდეს, მაგრამ რას იზამ, იტყვი რამეს და გადახრას დაეწყამებენ!

ასე წუწუნებს კაცი პორთფელით და პარტიულით და მას ბანს აძლიევენ მთელი მემარჯვენე-„მემარცხენე“-„მომომარცხენო“ ოპირ-ორიქო-ოპორტუნისტ-შემარბელები. დაიწყო ტურკსიბის გაყვანა.

— გაგიყდენ, პირდაპირ გაგიყდენ ეს შეძღვობი ამხანაგები, სად ჩვენ, სად ტურკსიბი? ჩვენ გავიყვანთ ყმა-წვილო, ტურკსიბს? შენც არ მომიკვდ, ვე ტურკსიბი ჩვენ დაგვლუპავს... წუწუნებს კაცი პორტფელით. დამთავრდა ტურკსიბი.

— კი, მართალია, დამთავრდა, მაგრამ რა მერე? იმოდენა აქლემები ხომ დარჩენ უმუშევრად, რად გინდა რომ გადაყარო ამდენი აქლემები? — ისმის წუწუნები.

დაიწყო ტრაქტორისტროის მშენებლობა.

— ვილუპებით, მაგას ჩვენ ვერ ავაშენებთ და აუარებელი ფული დაგვებარჯება... სად შეგვიძლია ჩვენ ამისთანა გიგანტების აგება!..

დაიწყო ავტობსტროის აგებაც. — ახლა კი დავიმსხვრევით ნამდვილად...

დამთავრდა ორივე გიგანტი. — დამთავრდა? აჰ, ვერ დავიჯერებ... რომ იყოს დამთავრებული.

ჩვენი ტრაქტორი და ავტომობილი მაინც არ ივარგებს, ბორბალი მოსძვრება...

— ახსნა კოლექტივიზაციის ახალი, ძლიერი ტალღა.

— ახლა კი მოვისპეტ ნამდვილად.. კულაკები მტრად გადაგვეციდებიან, გლებებს მიიხზრობენ, მუშებს დაიხლოვებენ...

კოლექტივიზაცია ფართოვდება. გლებობა მასიურად შედის კოლექტივებში. კულაკობა საბოლოოდ მოსპობის გზაზეა.

— გაავიყვ გლებები, ატყუებენ საწყლებს... რაღა ეშველება კულაკობას, ვინ აკმევს პურს!..

ეწყობა გიგანტი საბჭოთამეურნეობები.

— ახლა კი გაეთავდით! მაგის ნიდავი ჩვენში არ არის. დირექტორებს ვერ ვიშოვით, ტრაქტორები მიგვაკლდება, ტომრები დაგვაკლდება, აგრონომები გაგვექცევა...

იმარჯვებს სოციალისტური სექტორი.

— კი მაგრამ ე წვრილი გლებობა ხომ ისპობა! მთელი ღობეები გაარღვიეს, საქონელს აერთიანებენ, ღორებს პირველ ადგილს უთმობენ, ყველაფერს სახელმწიფო იღებს ხელში, კერძო მეურნე სანთლით უნდა ეძებო... ახლა კი მშვიდობით, მოვიდა აღსასრული.

სადღაც, ოფურჩხეთში ორიოდ გლები გავიდა კოლექტივიდან.

— ა პატაონო! ხომ გეუბნებოდლი! გლებობა მასიურად გამოდის კოლექტივიდან... ოფურჩხეთის მაგალითს ქვეყანა მიზამავს... ოფურჩხეთი თქვენ რა გგონიათ, — მოწინავე რაიონია...

სტალინის სახ. ქარხნის მუშებმა 18 დღის ნაცვლად 13 ნახ. საათში შეაკეთეს ორთქლმავალი.

— რა აჩქარებს, ვაჟო, ამ მუშებს, გააჩქარებს საქმე ამ თავისი ერთუნიანი! დეიოქვი სული და ნელა იმუშავე, ვინ მოგდევს! სულ ერთია, ერთ ქვეყანაში მაინც არ აშენდება სოციალიზმი...

მუშები მოითხოვენ ეს პორთფელიანი მოწუწუნე — მემარჯვენე და და მისი ამხანაგები — „მემარცხენეები“ გაირიცხონ პარტიიდან.

— რას ერჩით მაგ საწყლებს, — გაისმის შემარბელების ხმა, — იქნებ მართალი არიან: მართლა და რა ნელა, ვე სოციალიზმი სად გავიქცევთ? გვაჩქარებს, რა ამბავია ასეთი ტემკეზით რომ მიექვით! მიცვეთ ნელა, მაგას კული ხელში არ გვიჭირავს!..

უკანასკნელი სიტყვები უკვე გარედან მოისმის, რადგანაც ამ შემარბელებმა უკვე შექმნეს პარტიის კარები.

ალღარ-ალღარსან.

ტ ფ ი ლ ის ი

ისე ვადიდდი, დიდო ქალაქო, სიგრძე და განი აღარ გიჩნდება. ამაზე რაღა ვილაპარაკო, ჭოქეთ ვერვინ გამოგიჩნდება.

შალეულს აქსოვ დიდუბის ველზე, ორთაქალა კი — დაქსელე ბაღით. ცა ზაშხის შუქს გაძლევს ხელზე, რა ლამაზი ხარ იღოდე ღამით!

კერ ნატახტარს თავის შიღები მცხეთის თავამდე დაუყვანია. შენი კინთო და მეწვანაილები მუშკოპს ნოქრებათ აუყვანია.

სირაჯებს კიდევ თუ ვახსოვს ოიპო კილოგრამებით რომ ეცხო ქონი, — მათ პურმარილმა გასკრა ძმა-ბიკურ. აშუამად ყველა მსახურობს მგონი.

ძველო ტფილისო, გიცვალეს ფერი, და ინდუსტრიის აგიდგეს ფეხი, გამოგეცვალა ძველი ელფერი, და მუწეუმიად ხდება მეტეხი.

ძნელოღლი.



— ფული მახსხვ, ხვალ დ გობრუნე! — პარტია მოატყუე და მე რას შემისრულე?

ვის ეცინება, ხოლო ვის ეტირება!

— საწარმოო-ფინანსური გეგმა, ამხანაგო, ყარამან, „პრომ-ფინპლანი“, აი, რა გაკლიათ თქვენ!

ეუბნება ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგი ინსტრუქტორი ყარამან უფროსს, ელიძეს, ჩვენი ქარხნის წითელ დირექტორს, რომიოსაც სკეპტიკური შეხედულება ახასიათებს. ყოველი ახალი წამოწყების მიმართ.

— ე-ე-ე, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მაგას იმდენი ფული უნდა, რომ თმა ყალყზე მიდგება!..

— მაშ, რა გზით გინდათ, ამხანაგო ყარამან, წარმოების წინ წაწევა?!

— მოიცა ერთი, სული მოვითქვათ და...

მრავალ-მნიშვნელოვანად უარყოფს ყარამანი ერთი ხიოსი გაქნევის ამ ყოველად უმნიშვნელო ფრანს უქვეყნად ზედ დატანებით...

— სულ-მოვითქვათ — რაა, შე კაი კაცო? სულს სწორედ მაშინ მოვითქვამთ, თუ ამ თავის ცხვირის საყოფ ქუქრუტანების ნაცოლად, დიდრონ მექანიკურ ფინტილიატორებს ჩავსვამთ კვლეობში...

უთხრა ამას წინად მთავარმა ინჟინერმა.

მაგრამ ინჟინერის გონივრული რჩევა ყარამანმა შორს დაიჭირა. ვინტილიატორების შესახებ ასეთი სკეპტიციზმი ყარამანისა კიდევ მოსატყევებელი და შესაწყნარი იყო, რომ არის იმ ყოველად დაუშვებელ მიუკარგულობასთან შედარებით, რომელსაც ყარამანი იჩენს სხვადასხვა გაუმჯობესებათა მიმართ, მარტოდენ ფულის დახარჯვის შიშითა და მომხიზნებით.

— მოიცა ერთი, თუ ღმერთი გწამდეთ, სული მოვითქვათ და...

გაიძახოდა ის წაღმა-უკუღმა, თითქოს ეგ სულის მოთქმის ძლიერი სურვილი მას კუბოს ყარამანე ასე უცვლელად უნდა მიჰყვებოდა, როცა უკვე მართლაც ზედმეტი იქნება ლაპარაკი ყოველგვარ სულის მოთქმეზედო.

— არა, ამხანაგო ყარამან, „პრომ-ფინპლანი“ მაინც აუცილებელია, ისეთი მოზარდი წარმოებისათვის, როგორიც თქვენია. ტეხნიკური გაუმჯობესებანიც ისევე ფრიადვე საჭიროა, თორემ უამისოდ ბრმად მოსიარულეს დამსვავსებით, რა თქმა უნდა, თუ ეს შეუფერებლობით გჭირთ, ხოლო, თუ ამას შეგნებულად სჩადიხართ, მაშინ ჩვენ ვემსვავსებით იმ მდიდარ განმეულობით მოვაჭრეს, ცენტომ რომ მოატყუა.

და ამხანაგმა ინსტრუქტორმა მოუყვა ყარამანს ძველი ანეკდოტე იმის

შესახებ, თუ როგორ დანაძღვედა ორი კინტო, როცა იმათ სრულიად შემთხვევით ჩაიარეს ერთი განმეულობით მოვაჭრე მდიდრის სახლის წინ, როცა ამ უკანასკნელს თავისი სახლის ფართო დერეფანში გაეშალა მდიდრული სუფრა და არხენად შეექცეოდა სადილს, ხოლო კინტოებს ამ დროს კუჭი ყწოდით შემშილით.

— ეპ, რა კარგია ეხლა იმ სუფრაზე დროს ტარება — ინტრა ერთმა.

— გინდა, ეხლავე იქ გაეჩნდე? — დაიჭადა მეორემ.

— მიჰქარაე! — მოუჭრა პირველმა.

— მოდი, სანაძღვო. დასდეს ნაძღვეი.

მეორემ მოუარა სახლს უკანინდან და დაიწყო კარზე მიწოლა. მსახურმა იქით გაგდება დაუწყო მოთრეულ სალახანას.

მაგრამ სალახანა ისე დამშობობი სრულიადაც არ აღმოჩნდა, მდიდრის მსახურს რომ ეგონა. იგი მიიწედა „ხაზინის“ სანახავად. ატყდა ერთი ხმაური. მდიდრის ყურამდის მიაღწია ამ ხმაურმა და ისიც გადმოდგა სახლის უკან ამბის გასაგებად.

ამ დროს, მარცხენა ხელის ჯიბეში ჩაშვებით, კინტო წინ წარმოსდგა და თავხიანად მოახსენა:

— „კნიაზ“-ჯან, ნუ გამოწყრებით! ერთი რამე უნდა შეგეკითხოთ, თქვენ გამოცდილი კაცი ხართ და გთხოვ ამიხსნათ: ამოდენი არგალიტი რა ელირება?

და „ხაზინის“ სახეზე აშკარა გაოგნების გამოსაწვევად კინტომ მობერებულად გაუწოდა წინ დამჯიღული თავისი მარჯვენა ხელი, მარცხენის ჯიბიდან ამოუღებლად.

— აჰ, ამობრძანდით აქეთ, სახლში შემობრძანდით! — გაუთაფლდა და გაუტკბა მდიდარი სახლის პატრონი ამ მოთრეულ სალახანას, რომლის მიმართ წყრომითა და რისხვით იყო აქამდის გადმომდგარი.

მსახურს ენა დაემა მოსულის წინაშე და გზა უტია სახლისაკენ.

კინტოსაც ეს უნდოდა. მდიდარმა ხელი სტაცა მას და პირდაპირ დერეფნისკენ გაიტაცა, სადაც, ერთი მხრით — სტუმრებისა და მეორეს მხრით — იმ პირველი კინტოს გასაოცად, ქუჩიდან რომ ყოველივე ამას პირში ნერწყვ - მომდგარი უთვალთვალებდა, მიუწია წინ ნაირნაირი სასმელ-საჭმელი და თავისი საკუთარი ხელით უწყო გამასპინძლება, ისედაც დაშვებულ კინტოს.

კინტომაც კისერი მამალივით წაი-

გრძელა, ქამასაც მოუსვა და ხარბათ უწყყო განიკვება მდიდრის ხელით მირთმეულ ხორავს.

როცა გაძლა და ღვინითაც საკმაოდ გამოტკრინდა, მდიდარმა ხელი მოხვია, თავის კაბინეტში გაიყვანა, რბილ სავარძელში ჩასვა და მეორე მხრითაც თითონ დაუჯდა.

— აბა, ახლა საქმეზეც მოვილაპარაკოთ — ყოველად სერიოზული და საქმიანი კილოთი მიმართა მან კინტოს, რომელსაც თავისი მარცხენა ხელი გაუნძრევლად ისევ ჯიბეში ელო.

— ჰო, როგორ შემეკითხე წელან? დაუსვა პირდაპირ კითხვა მოუთმენნელმა მდიდარმა.

— აი, ამოდენა მარგალიტი რა ელირება-მეთქი?!

და კინტომ ხელმეორედ ასწია თავისი დამჯიღული მარჯვენა ხელი, რომელიც ეხლა, წათამამებულმა, მდიდარს თითქმის ცხვირის წინ მიუტანა და თავხედურადაც კაი ხანს ასე ამ ყოფაში იქვე შეუჩერა.

— ჰო, ამოიღე და გავსინჯოთ — დაუყვავა მდიდარმა სრულს იმედში მყოფმა, რომ კინტოს ეს სანუკვარი მარგალიტი სწორედ იმ მარცხენა ხელში უქირავს, ჯიბეში რომ უდევს, და, რომ ამ ძვირფასი ნივთის სრულიად უმნიშვნელო ფასადა ხელში ჩაგდება შეიძლება ამ მშვიერი სალახანისაგანო.

მაგრამ სალახანამ თავისი მოლოდინის საწინააღმდეგო პასუხიც ცხელ გულზე სწორედ ცივი წყალი გადაასხა მსუფნაგ მდიდარს.

— ეეჰ, აბა ამოსაღებად სად არის, ხაზინე-ჯან?!

— მაშ? შეკითხა ამ პასუხით დაფეთებული მდიდარი.

— მაშა და, იქნებ ვიპოვნო-მეთქი!

იყო კინტოს იმედის გამტრუებელი პასუხი.

მდიდარს ენა დაემა და მხოლოდ აღშფოთებული კაცის ექსტებით მიერეკებოდა თავხედ სტუმარს თავისი მდიდარი სამყოფელოდან.

— აი, ასეთი „იქნებ ვიპოვნო“ გამოვა, ამხანაგო ყარამან, თქვენი „ერთი დამაცადეთ“-ისაგან, თუ ის ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ არ შეეცვალეთ ამ თქვენს წარმოებაში რაიმე სხვა უფრო გონივრული აზრით.

დაატანა თავის ანეკდოტს ამხანაგმა ინსტრუქტორმა, რომელმაც მასურებლებში სარკასტიული სიცილი გამოიწვია, ხოლო ყარამანი კი მძიმედ და მწარედ ჩაფიქრდა...

ალლო... ტრესტის სამართვე-
ლოს საერთო კანცელარია გისმენს.

—გულაპარაკები ვალოდია დარდი-
მანიძის ოჯახობა... ვალოდია ძლიერ
ავად არის; სულ ოფელშია შეტურე-
ბული და აპიტომ დღეს სამსახურში
ვერ მივა. უკნობეთ მმართველს.

ეს ანბავი კანცელარიას ელვის სი-
სწრაფით მოხვდა.

—მუცლის ტიფი იქნება!—წამოი-
ძახა მემანქანე ქალმა, მიატოვა მუ-
შაობა და ვანოს დაუწყო იმის მტკი-
ცება, რომ ერთი მისი ნათესავი, სწო-
რედ ისე გახდა ავად, როგორც ვალო-
დია, შემდეგ აღმოაჩნდა მუცლის ტი-
ფი და კიდევ მოკვდა.

სიკვდილის გაგონებაზე წამოდგა
საქმეთა-მმართველი და დაიწყო იმის
მტკიცება, რომ ვალოდია უსათუოთ
გრიობით არის ავად.

ამის საწინააღმდეგო აზრი წამოა-
ყენა ბუჰხალტერმა, ხოლო მოანგა-
რიშე კატეგორიულად ამტკიცებდა,
რომ ვალოდია შეპყრობილი იყო
ტრობიკოლი მალიარიით.

„კამათმა“ მწვავე ხასიათი მიიღო
და, ვინ იცის, სანამღე გაგრძელდებო-

და, რომ მმართველი არ შემოსუ-
ლიყო.

—რაშია საქმე?—იკითხა მან,

—ვალოდია ყოფილა მძიმე ავად!—
ერთხმად მიიძახეს თანამშრომლებმა.

—სამწუხაროა. რაღა ეხლა გახდა
ავად, როცა თავი დაქვერულათ გამო-
აცხადა. გააოუძახეთ საექიმო პუნქტს
და გაუჩვენეთ ექიმი!—გასცა გან-
კარგულება მმართველმა.

ვალოდია დარდიმანიძე აქ სცხო-
ვრობს.

—კი ბატონო.—მოახსენა დარდიმა-
ნიძის ცოლმა და უცხო კაცს ოთანში
შეუძღვა.

—ვინც მოვიდა გაუმარჯავს!—შეს-
ძახეს ექიმს და სტრ მარი სუფრაზე
მიიპატიუეს.

—უკაცრავად!—ექიმმა ბოდიში მო-
იხადა და მიპატიუებაზე უარი განაც-
ხადა.

—ნუ უშლით, აცო, თამადას ხელს.
თუ უნდა, ქე დაჯდება, თუ არა—ქე
წავა!—წამოიძახა მთერალმა ახალ
გახდამ და ექიმს თვალები გადაუბრი-
ალა.

—უკაცრავად, მე ძალიან ბოდიშ

ვიხდით, მაგრამ ძალიან მეჩქარება. ვა-
ლოდია დარდიმანიძის სანახავო გან-
ლავერთ მოსული; თუ არ უსცდებო
მგონი აქ სცხოვრობს!—და ოქრო კაც-
მა თამადას მისამართი გადისცა.

—თქვენ ვინ ბრძანდებით?—შეეკი-
თხა თამადა.

—მე დამხლვევ სალოოს ექიმი ვარ
და...

—მართლა!—გაიკვირა თამადამ და
უცხო კაცს ხელი ჩამოართვა:

—ვალოდია დარდიმანიძე მე გან-
ლავერ!

ექიმი შეშფოთდა. თვალები ღვენიით
გაღეშოლს მოსაუბრეს მიაპყრო და
მოკრძალებით უთხრა:

—არა, თქვენ არ იქნებით. ის მძიმე
ავადყოფია. ასეთი ცნობა მაქვს მის
სამსახურშიდან.

—მე განლავერ.—აქ გაუგებრობას
აქვს ადვილი. ვთხოვთ დაგვეპატი-
უთ!

ექიმმა კარები უკრა გაიხურა.

—უზრელი!—ჩაილაპარაკა ვა-
ლოდამ ოქროვ საღლეგრძელს
გადავიდა.

ტოქსინი

ღია ფერული ოკმრის ღირეშციას

მე არ დავიწყებ გრძელ ლექციას.

გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის

ყოველთვის თითქმის,

თუ ყური საესე არ არის ბამბით,

ანდა სხვა ამბით.

კიქებენ: სეზონს, დაღმებს, სპექტაკლებს.

თუმცა წელს გესწრები წარსულზე ნაკლებს...

და ეს არ ვარჯა.

მაგრამ მე რა ექნა! არ მომეცი შენ კონტრამარკა.

შარშან, შარშანწინ და ყოველთვის მქონდა ასეთი.

(გვაქვს ჩვენ ჟურნალი, გვაქვს ჩვენ გაზეთი).

შენც კარგად იცი (სხვებმაც აციან),

რომ შენს და სხვებზე გამოგვიცია

სპეციალური ნომრები ხშირად,

რაც დაგვიჯდომია ჩვენ მეტად ძვირად.

ხო-და, მოგვეცი კონტრამარკა, რომ გნახოთ ხშირად.

და შენი ნახვა არ დაგვიჯდეს სხვებსავით ძვირად.

ადვილს არა ვთხოვ. საღმე კუთხის ავეტუსებში.

თან ვინადირებ (მანდ დადიან ბლომად ტუზებში).

თუ კი ქალები, ვილაც-ვილაც დადიან მუქით

და კონტრამარკა მათთვის წელსაც აღარ გაუქმდა —

ერთი მითხარი, გაფიცებ მთავარ ადმინისტრატორს,

(და ამავე ღრის ქალებში კარგ ორატორს),

რომელიც „შესავლელს“ აძლევს მთელ მილიოს,—

რატომ არ გვაძლევ ჩვენც ასეთ ბილეთს?

ბარტაროზი



კუანკარა-ო.მი, რომლის აგენტებს აშუამად ახაო
მართლებენ მოსკოვში.

„დაბლ ეზა“ ანუ „გიგლია“

ნ ა წ ი ლ ი მ ე რ ი ე

მეთვრამეტე თავი

არის განათავი.
შემდეგ რა იქნება,—
ვერც ეს არ ითქმება!

გამოემშვიდობენ ებრაელნი სინაის მთას; ალთქმული ქვეყნისკენ კვლავ გაუღდენ გზას. —
ფევიბტიდან გასვლის ძეგორე წყალში, სამი ღლის მკაცრი ბრძოლების შემდეგ, რომლის იცით თქვენ უკვე შედგენი.
რამდენიმე ღლის მუზაურობის შემდეგ, დაქანცულებმა დროებით შედგენ დასასვენებლად მინდვრათ ფარანისას.
მენ შევიკები განაგრძობდენ აქაც თავისას. არ მოქმედებდა გავვითილი წარსული მათ. ხმებს ავრცელებდენ მოსენ დალატზე. ყველა სისამაგლეს ხალში ქადაგებდენ, თეთრს შავათ, შავს კი თეთრათ ასაღებდენ.

— დიდი თავხედი კაცი უნდა იყოს, ასე ხეტილი ქვეყნათ რომ დაიწყოს!
— ცრემლი რამდენი უჯღმბა ეს ხალხს ამაზე ვერვინ ბედავს სიტყვის თქმას!
— საჭინელი სულ თანდათან ძვირდება, რიგების სიგრძე ყოველდღე იზრდება!
— მოსეს ლაყობას, როდესაც ისმინთ, გვიკვირს, ამდინახან მას როგორ ითმინთ!
— ის რომ მანანის გემოს ხალხს უქმებს, მისი ულულუა ჩიტს გაასუქებს?
— ამას გაუძლებთ, არაფერია, — ისიც ჩქარა თუ არ გამოგველია!
— მიწის შესახებ დეკრეტი გამოსცეს, — ხად არის ეს მიწა, — არაიენ არ იცის!
— ქანანელები ხომ არ მოგვეცემენ!
— ვერც კი დასთვალა, იმდენი გვეცემონ.
— დაუშვით, მიწა მოგვეცეს საყოფი, —
ორ გინდათ მერე მისი გაყოფა?
ხომ მრავალი გახსოვთ ისეთი შემთხვევა, მიწის გაყოფის დროს სისხლი რომ ინთხევა!
— ისმინეთ ჩვენი, ჩვენი ისმინეთ,
— კმარა ამდენ ხანს რაც მოითმინათ! დაებრუნდეთ უკან, უკან დაებრუნდეთ, ცოცხლად დარჩენა ვისაც კი გინდათ!

მოსეს დეკრეტებს როცა იწუნებდენ, ფარაონისას ეხლა იწონებდენ.
— მიწა აღარ არის კერძო საკუთრება? აკრძალულია გაყიდვის უფლება?
— ასეუ გამოდის, რომ კერძო საკუთრება სრულიად უქმდება!
— შემკვიდრობით რომ მიმიღია და შემდეგ ჩემით რაც მომიგია, — ის საკუთრება ჩემი არ არის? მონა მყავს მასში მე მოზიარეთ?.. ეს რა წამომცდა... მონა მყავს მეთქი! მონობა მოსემ ხომ გააუქმა!..
დაე, იარონ ყველამ უსაქმოდ.
ერთის მაგიერ მგელა ქვესი დღე მათ იუქმონ.
— მოჯამაგირე თუ კაცს არა ყავს, ოჯახი ისე ოჯახს არა გავს!
— ეტყობა, მოსე სულ გამოშტერდა, — თუ ამ დეკრეტს როგორ დასწერდა!..

ასე, ამნაირათ, სხვა ათასნაირათ განუწყვეტელად ხალხს აღელვებდა, — სუყველაფერში ბრალს მოსეს სდებდენ. საკთხი მუდამ ასე ისმოდა, — ყველა კუთხეში ეს გაისმოდა: — მოგებზრდა, მოგებზრდა ქირივით, მინდვრათ ხეტილი, ვირივით! — ეშმაკმა არ იცის, საით მივყავართ, — გზა-კვალ აბნეულ პირუტყვებს ვგავართ! — როდის გველირება ჩვენ მოსვენება, — ცოლი ჩამომიღნა, როგორც მოჩენება! — ხორცს რა სუნე უღის აღარ მაგონდება. ამ პირობებში კაცს რა არ მოგინდება! — ვაიმე, დედაე! რა კარგი დრო გვექონდა! ხელიდან გაუშვით, — ქკუა ჩვენ სად გვექნა! — გახსოვს, ბიჭო, დავითა, მალხაზა რომ დაითვრა? — მას რა დამავიწყებს! მისი მოგონება პირში მგვრის ნერწყვებს! , — ყანწით ღვინოს რომ გსვამდით! — მცვრიან მწვადებს რომ გვამდით! — ჭიქა არაყი შაური ღირდა! — შეგედლო გესვა რამდენიც გინდა! — იგი იყო, ბიჭო, ალთქმული ქვეყანა! — ვაი, რა დრო იყო! — მოსემ ეს რა გვიყო! — ბარემ დაიქციეს მავის ოჯახი! — ეს რა წაგვეკილა საქმე საჯაყი!..

ბოლოს მოსე ამ სანახავით გახდა ავთა. ორი კვირა იწვა ლოგინში. საქმის გამოსწორების მოლოდინში დღე და ღამ იმას დაირობდა, თუ საქმისთვის რა სჯობდა. მტკიცედ გადასწყვიტა, რომ ხალხთან კავშირი არ გაეწყვიტა. შეუხტა ერთი კიდეც საწოლში, — ხსნა მოსაზრა რა მან... საბჭოში! აღარც აცივა და არც აცხელა: საბჭოები მან მოიწვია ხელათ, — როგორც ადვილებზე, ისე ცენტრალური, — რომ ედევნებიათ ყველაფრისთვის ყური. ბიჭები ვინც იყვენ ცნობილი, რჩეული, — საბჭოებში იქნენ არჩეული. რაც ხალხისათვის საჭირო იყო, — საბჭოში უნდა გარჩეულიყო. საბჭოს წევრები მოქმედებდენ მოსესთან ერთხმად: ზოლოდ არღვედენ მილიანობას მოლად და ელდად. ერთს მენ შევიკის გადაკრული ქონდა ელდერი, მეორე იყო, უსათუოდ, წმინდა ეს-ერი! ამ ორ მოლაყბის არსებობაც საკმაო იყო, კვლავაც სადაო ყველაფერი რომ გამხდარიყო!..

დაუსრულებელი კამათი რომ კიდეც გააბნეს, საშვილიშვილო საქმე ამით კილამ წააგეს! წინათაც ხდებოდა საქმის გამწვავება, მაგრამ მათ შორის იყო განსხვავება. თითქოს დაკარგა ხალხმა იმედი, რომ აღარ სწყალობს სრულებით ბედი.

ამას შეუწყო ხელი მან კიდე:
დამზვერავებმა მოიტანეს ყუონის აკილო,—
რაც მას მოწმობდა უტყუარათ განა,
რომ ახლოს იყო ალთქმის ქვეყანა!

მზვერავებმა კი, — ზოგიერთს გარდა,—
ვერ მოიტანეს ამბავი კარგი.

— ალთქმული ქვეყანა ჩვენ ვიხილეთ საკუთარ
თვლით,
მარა მცხოვრებლები ჩვენ ამ ქვეყნის ვერც კი დავ-
თვალეთ!

— ახლა ამ ქვეყნის არ იკითხავთ სხვა ვითარებას:
იმით ქონებრივ და კულტურულ განვითარებას?

— ძალა-უფლება ხელთ უპყრია ბურჟუაზიას,
და ევროპიდან ის განაგებს აქ მთელ აზიას!

— შეიარაღებულ სამხედრო ძალებით
ჩვენ იმათ აბა სად შევადარებთ!

— იმათ თოფებთან ჩვენი თოფები
გამოიხდებიან, როგორც ჯოხები!

— ერთი მგრათ რომ შემოგვიტონ, —
სანაგრაშოთაც არეინ დავგვტოვონ!

— რევოლუციის არსად არის ჯერ იქ ხსენება.
ამის შესახებ ჭირივით სძულთ მათ გახსენება!

— სადაც ხორცი, პური აქვს ხალხს საქმელი,—
რა დავგრჩენია ჩვენ იქ სათქმელი!

— ჩვენ ამ ქვეყანას ვერ დავებატრონებით,—
ვერც ძალით, ვერც ნებით!

— დავბრუნდეთ უკან, უკან დავბრუნდეთ, —
ან ყველამ ერთად, ან ცალკე გუნდათ!

**

მოსე კინლამ გადიტანა დარდმა.
ამით ისარგებლეს ელდად და მოდადმა:
ისინი შეუდგენ ხალხში მითქმა-მოთქმას,—
ილიზიანებენ თითქმის ყველა მოღვაძეს.

— ძირს ეს ბებერი!
შეხედეთ ერთი, რას უგავს წვერი!

— გავწყდებით ყველა ტანჯვისგან წელში,
სანამ ვიქნებით ჩვენ მაგის ხელში!

— ძირს საბჭოების ხელისუფლება!
არ გვსურს ასეთი თავისუფლება!

— ეს ახალი წესი რომ მან შემოიღო,
ხალხმა ამითი განა რა მოიგო?

— აჰისიანებს საბჭოებში თავი მოუყარა,
ჩვენ სათაფეზე არც კი გავვიყარა!

— შეუჩვეველ ლხინს რომ სკობია ჭირი შეჩვეული,
მამა-პაპისგან ამ მცნებას ვართ ჩვენ მიჩვეული!

— ბელადათ ისეთი კაცი ავიყვანოთ,
უკან, ეგვიპტეში ჩქარა წავგვიყვანოს!

— გირჩევთ ავირონს, ანა და დაფანს!
— მოსე, მაინც ხომ სჯობს ძლიერ დაფანს!

იესო ნაფინი, ვაჟკაცი ქალბ
აბრიალებდენ სიბრაზით თვალებს:

— ეგვიპტე, ეგვიპტე! — რომ დაგიჩემოთ,
ნეტავი ვიცოდეთ, იქ რა დავგრჩენით?

ამ ცუდლტუტების არ დაიჯეროთ
და იმათ მხარი არ დაუჭიროთ!

იცოდეთ, ხალხო,—

ალთქმული ქვეყანა აქ არის ახლოს
ჩვენ იმას ხელიდან ეხლა თუ გაუშვებთ,
სამარადისო შეცდომას დაუშვებთ!

ვაჟკაცურ სიტყვას იმაში გაძლოვით,—
მტერს უსათუოდ ბრძოლაში დავსძიოთ!

მათი ცხოვრების დრო მოქმედია, —
ჩვენი მზე ახლათ ამოსულია!..

ჩიოთ გათავდა ბოლოს ეს საქმე, —
წერტილი დაესვა ხომ უნდა სადმე?

გათავდა ამით:

პანლურისცემით

ელდად და მოლაღ ხალხმა გაისტუმრა.

მტრების ბანაკს ურცხვად ისინი ესტუმრენ.

და იქ განაგრძობენ

საქმეს სამარცხვინოს.

ფიქრობთ, — რამეს გრძნობენ?

ღმერთმა შეარცხვინოთ!..

ისეთი მაგარი აქვთ შუბლის კანი,

ის სირცხვილის გრძნობა! დახშული აქვს ყარის!

**

გაკვირვებული რას შემომცქერით?

ჩემგან რაიმეს კიდე მოელით?

ხო, მართლა, ეს მე რა მომივიდა!

ალთქმულ ქვეყანაში როგორ მოვიდენ,—

მოთხრობის ბოლო ისე შემიწყდა,—

ამინ თქმა თქვენთვის ქე დამავიწყდა!

მაგრამ რათ გინდათ ჩემი გახსენება?

ალბად წაიკითხეთ ერთი მოხსენება,

ნათქვამია სადაც

საუცხოოვო სადათ:


„ხუთწლედს თუ ოთხში ჩვენ შევასრულებთ,

„ალთქმულ ქვეყანაში ფებს შევდგამთ სრულათ;

შესრულება თუ გავვიძინოდება,

მაშინ გზა ცოტა გავგვიგრძელებთ!..“


ს. თ.—ია.



პოლიტიკური ანატომია



ოპორტიზმი



ოპორტივის უმღებ



ოპორტივისტი თავისი ცხვირით
 ანუ კულაკის უზრდა ოპორტივისტში
 —სად არის კულაკი? მე ვერა ვხედავ!



ტყუპები

=====

ხელისმოწერა გახ. „მუშა“-სა და „ტარტაროზე“
 = მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის დაფისებულებები =

ერთა ლიგისა და „სამშვიდობო“ კონფერენციების „ცისარტყელა“ 9



ქართული

ზვიცვალა ადვილი, საჭმე არის ადვილი. ზკიგალო.

ყოფ. მოსამართლე ალფეზ ჰელიძე განაჩინებს ლეკვლია დამნაშავეებს და ამლეიდა ცალბ საბუთებს განთავისუფლების შესახებ. მანვე მოხატვთარა სასამართლოს ინტერტარი. ამეამად „ხენკეკარა“-ს მამულის გამეიდე არის.

ღწინარი.



იყო ჭრებალოს ალფეზი, კაცი დეთისაგან სვიანი. მოსამართლე და მოწყალე, მსაჯული, ენაწყლიანი. უყვარდა განაჩენების სწორება ჭრთამებიანი, წაღება ინვენტარისა ლამით როს იყო გვიანი. თვით დაჯდა სკამზე ბრალდების, მგერამ ვერ მისცეს ზიანი. დაოძვრა სასამართლოსა, (გამოცდილია, ქვევიანი). „ხენკეკარა“-ს თავზე მოაჯდა, საქმეა მომგებიანი. ძლომითა გაძია ალფეზი. უძირო, ვაძელ ჯიბიანი.

აზი ჩვენი თავგადასავალი კაცი არის მებრძოლი. ვალის-ცინი

ოლმსკომის თავმჯდომარე გლეხებს უბეშად ეტყობა. მუშკორებს ემუქრება და აშინებს.


ღწინარი.

აქეთ იატაკს ფეხს დაჭკრავს, იქით შეიარყვეს კედლებსო. საქმეზე მოსულ სოფლებებს ყველას უწოდებს „დედლებსო“. მუშკორებს ყურებს აუწევს: „ვინ მოგვით ნება წირისო? წერილს ნუ გზავნით უჩემოდ, მე შემითანხმეთ ჯერ ძსო!

ჩვენი ნოჰარი ზიო, ესლა ზის გამსახლზიო. ჰოთაინი

თეორა-მიწის ჭეზახზე გასსნეს კოთბერა-ტივი, რომლ-საიჯ ნოჭრად იყო ყოფილი ვაჭარი ზიო. როგორც დახილორებულმა „სპეკიმა“ ბლომად შესანლა ფულები და ესლა გამსახლზი იცვენებს.

თეორა-მიწელი.




წინელ მქონდა მალაზია, კაცი ვიყავ ზიო. გაგვკოტოდა მე მოვეწყვე კოპერატივზიო. ფულებს ხელი რომ შევივლე, ვიდე ჯებე ზიო. გემრიელი საქმელები ვგზავნე მუცელ ზიო. ერთ დღეს მითხრეს: „გაგვისწორე ანგარიში, ზიო... ჩამობნელდა მზე და მივარე. ვზივარ გამსახლზიო.“

იურიდიკონის სახეობის ვინ ამოღებს ალფირსაო. საღვ. ტვილინი

საღვ. ტვილინი სანგარი. სწორების ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი რაზმაძე უბეშად იბყრობა თანამშრომლებს.

მახლას.



გიორგი ზის და გაჭყვირის, თავის ამინდი ჰქონია. თვინებს ძვილ დროს, როდესაც მხრებზე ჩინები ჰქონია. ენის თქმას ვერეინ უბედავს, თანამშრომლებთან კულტია. პასუხის ნაცვლად კითხვაზე მუდამ მზადა აქვს მუშტია.

აბა, ჩვენო მილიცი, ეს რა ცნობა მიგიცია? სოფ. ხობივი, აზგროლაური

სპეკულიანტ ილიო გურგენიძეს ფინსახ-კომის დავალიანება ჰქონდა. ადგილობრივმა მილიციის უფროსმა ფინსახგეტორს აჩიო-ბა, თითქოს გურგენიძე იქნის წელია წასულია სოფლიდან; თანაც არავითარი ჩონება არა აქვს. ამავე დროს კი გურგენიძე სოფელშია, უილის თავის მდიდარ სახლკარს და კოლექტივის წინააღმდეგ აგიტაციას აწეობს.



ეს როგორ არის ვერ მივხედა, როგორი სამართალია! ილიო გურგენიძესთან, ნეტა, რამდენი დალია? არ გაცვლის თავის ილიკოს, თუნდაც მას დაღონ ბრალია. რა ვუყოთ მეგუე, რომ ილიო კოლექტივებზე მწყურალია. ის უჩრჩინია მილუფროსს ყელი არ ქონდეს მშრალია. ფინსახკომს ფული ისეც აქვს, მონზარდეს ქეიფს დალია!

კოლექტივი კოჭია ვინ ეზგაგვა მოჭია.

სოფ. ავალითი, ზესტაფონი

კვალთის კოლექტივი „ვაზში“ შეპარულია ძვილი პოლიციელი კოწია ბილიანი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის მენშევიკების წინაშედაი კომუნისტების დევნასა და წაჭებაში.

საქათმეში შესულიყო მელა, ქათმებს ირურტულეობდა ნელა: „შემიყვარდით სათითაოდ ყველა, დავიწყება თქვენი „ნე სუშედა“.“

მე, კოწია, ხელობითა „ურადნიკი“ და ჩაფარი, ემორჩილობდი ყანდარმით საბათა, მისთვის ებელობ, მისთვის მკვდარი. დავუძლოური ამით ხელში, კვლავ წამალს არსად არი. ვაკურნება რომ მომეცეს, ვიქმ საქმესა ამა დარი: აწ ენა მინდა გამოთქმად რაც მიზნად დავისახეო. ძალი მომეც და შეწყვენა დავფარო ჩემი სახეო. კოლექტივი „ვაზში“ მოვეწყვე. უნდა დავუღვა მახეო. მგელი რომ ცხვართან ცხოვრობდეს, აბა, თუ ვინმემ ნახეო!

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი 11

ნახ. ვ. ლაშხის, ტფილისი.



— სასწრაფო დახმარება... სასწრაფო დახმარება! გეხმის? ხუმრები წუთის შემდეგ მოგვეშვიდით, ესაილიობთ!

ნახ. ალ. ჯაშის, ბრესილი.



— ეს არის, რამ გაიძახინ—დამკვერღებს ვაჯილოდვებთო? მაშ რატომ მომათვეს შავ დაფაზე.—სიმულონტი და ლო ი ხარო!

ნახ. აზზინიძის, პატარა-ჯინაში




— ნეტავა როდის გაიღება ჩვენი სამკითხველო?
— როცა დაღამდება: ახალგაზრდობა სარწყოდ აქ იყრის თავს.

ნახ. კევილიშვილის, გორი.



— რა გაყვირებს?
— ვერა ხმდავ სყვირია—„საყვირო“.

ნახ. კოპალიანის, ცაგერო.




— ჩემო ღრუტუნებო, ფეხზე ადგომით პატივი ეციო ალმასკომის განსვენებულ უკრადლებას, რომელმაც კლუბი თავშესაფარად დაგვითმო!

ზენკო—მ. შოშია.



— რად აგიკრავს კაცო შავ უბები?
— მეშინია, სადგურის უფროსის ყვირა-ღისაგან უფრები არ შეტყნოს!



— დედო, იმ ხტუმარს რატომ არ დაუკალი ჭათამი?
— შვილო, ჭათამი რომ დამეკლა, კიდევ მესტუმრებოდა!

ნახ. წინუხ, (ხაშბრ. რაიონი).



— ხაიდან დაგესია, ბიჭო, ამოდენი მატლები?
— ჩვენ კოოპერატივში ნაყოფი კუმბში მიყრია ჯიბეში და იქიდან თუ ამოკვრუნ!



ნ ი ბ ზ ო ო ე ა ს ვ ა ა რ ი ა ნ ნ ო ი

— „ტოვარიშები“, ესლა მე მათ-
ქმეინეთ „ჩრეში“, რალა?!

— სთქვი გენაცვა, კოლა-ჯან!

— ვილბ ამ პატარა სტაქანს, რო-
მელშიაც ჩადის მხოლოდ ნახივარი
კვარტი ოინო და ვადღერძელებ
ჩვენს საყვარელ მილიციონერს, რო-
მელიცა რომა ავერ დას თავისთვის,
არ გვიშლის ქეიფს... იცოცხლე გე-
ნაცვა!

— გმადლობ!

— მოდი რალა, დალიე შენც კოთი
სტაქანი, სამადლობელი მაინც მიირ-
თვი!

— გმადლობ ჩემი დღეგრძელობი-
სათვის, გაამოთ ქეიფი.

— აბა, თამადა, ახალი ტოსტი
სთქვი!

— ეს შეუნდოს ამ ვანქის ეკლე-
სის გლავანში დასად ლავებულ ყვე-
ლა მიცვალბოლებს. მათ მოსვლამ-
დე არაფე ი ვიტკინოსთ.

— აი, იცოცხლე! ძალიან კარგი სა-
დღეგრძელოა. განა ჩვენ კი არ მოგ-
კვდებით, სანამ ცოცხალი ვართ ვი-
ქეიფით, ვსკათ, დროება გავატა-
როთ, ხომ გაგიგონიათ გამოცხანა:
„რასაც შეტყამ შენია, რაც არა და-
კარგულია“.

— ეს გამოცხანა კი არა, ანდაზა!

— ნუ ანდაზა იყოს „კაკოი რაზნი-
ცა“?

— კარგი რალა! თქვენც ასტვბთ
ხოლმე აყალ-მაყალს უბრალო რამე-
ზე. ღვინო დალიეთ ვისაც შნო
გაქეთ. აბა, თამადა ახალი საინძელო
მიირთვი.

— ეს გაუმარჯოს. აი, ამ ჩიენ გლე-
ხებს, რომლებმაც ღვინით ადგეს ვან-
ქის ქუჩა და მისი ეკოლისის გლა-
ვანი. ვენაცვალე მე მათ მარჯვენას.

— რიგიან-პირიანათაც რომ ჰყი-
დინ: ორი მანეთი კვარტი! მუჭითა
მავ რა!

— შენ ევა სთქვი და! მავ იცოც-
ხლეთ, ამხანაგო გლებებო! გაგიმარ-
ჯოსთ ყველას. ჩემთვის სოო ერთი
ხართ, თუ არ ხართ, მაინც ყველამ
იცოცხლეთ.

— გმადლობთ, გმადლობთ!

— აბა, არიანი, არიანი; აბა, ბე-

დნი გეურქაჯან, ვადატრიალე მამა-
პაპურად.

— ვერა განაცვა; ჩემს არღანს
„კრუქინა“ მოვშალა.

— მთელი დღეა განუწყვეტლივ
უკრავ, მავ რა მოუვიდოდა?

— გამიშვიოთ, გამიშვიოთ, ბებუ-
თით გაოოიდრავ გოულს.

— მოიცა, მოიცა, კაცო, ცოდვაა,
რა დავიშავა!

— როგორ თუ რა დამიშავა, მე
გულშინ სამასი მანეთი მომიგო და ჯი-
ბეში ჩაილაგა, დღეს რალაც ასი მან-
ეთი მოუტე და იმასაც აღარ იძლე-
ვა?! შვე დო! დავყენებ, გამიშვიო!

— მოიცა, კაცო, გამაგებინე, განა
აქ თამაშობაც არის?!

— არის და მერე როგორი!
— რას თამაშობენ?

— ბაი-ბურთ, თამაშობენ; გაავო-
რე კამათელი, მოგევა დუშაში —
გიყვარდეს ფე... რბი ჯიბეში.

— ვა ეს რა ადვილი რამე ყოფი-
ლა!

— მიშველეთ, თავი გამიტება ამ
ობერმა.

— იინა, კაცო, რას გერჩეოდა?

— აი ამ გურჯანელმა იოოხმა.

— თა! გაგიტებს კი არა, სულ
მოგჭირი, თუ ფული არ გქონდა რას
სვამდი იმ ღვინოსა? კაცოო, სამი ამ-
ხანაგი იყენენ; დილას აქეუ სმენ,
ათი კარტი ღვინო დასცალეს, ბო-
ლოს სთქეის თოლი არ გვაქვს, ჩვენ-
ზე დასწირეთ. მი წერა არ ვიცი და
ამიტომ ამ კომბალიტ თაუსეა შუბლ-
ზე ჯვარი.

(გავრძელება იხილეთ ვანქის ეკლე-
სის გალაიანში)

ქველი.

ნიბზზიანი

მავუბებს ფიქრი სენაზე, კლბუზე
რა ეშველება, თ თავს ათოვა!
არა და გამგებს გავკრა წიკბურტი,
ვიცი, რომ ესეც სახიფათოა.

—
უთხრა, რომ წვიმა ჩამოდის შიგა,—
ქინება ვასწურა და გამებუტა,
ან და ნაცარში. კრა მძლავრად წიხლი,
აქცია ბღღვირად, მტვრათა და ფუტად.

—
ხომ დამვიწყა წარმოდგენები
და მისი ძალზე დავიანება.
დახრილი ფარდა, ხალხი, ლოდინი,
ვანწბილებულთა თვლები, მთქნარება

—
ამასთან ერთად მალონებს ფიქრი:
აკოლის ეზო გვაქვს მოვლილი გონჯად;
ქისივე გვერდით აქ დაღუბული
ერთი ჰექტარი წმინდა იონჯა,—
გახთელა ფეხ... ეს ქვეყნის ღორებმა,
აულები და მოუცეცლავი,
ჩვენში არ დარჩა ისეთი კაცი,
რომ შეერწხა ამაზე თავი.


—
ნეტავ ვიცოდე, ვინ აგებს პასუხს,
არტელის გამკე თუ ბრიგადირი,
რომ მომავალში არ არჩეს ასე
და საქმისაკენ ჰქონდეთ მათ პირი!

მანუარ.



ღვინის შიდვა ბაზარში

ქ. ლუხთი



გოგინას სიზმარი

გოგია ღარიბი გლეხი იყო. ის სცხოვრობდა კულაკ სიკოს მეზობლად.

ერთ დღეს კომკავშირელები სოფელში დადიოდნენ და წერა კითხვის უცოდინართა სიას ადგებდნენ.

— არ გაგიწყურეს ღმერთი, არ ჩაეწერო, თორემ დეიღუბები, ვინც წერა - კითხვა არ იცის, აქედან ციმბირში გადასახლებენ! — უთხრა სიკომ გოგიას.

გოგია შეშინდა. დაღამებული იყო, როცა გოგია სახლში დაბრუნდა... სძინავს გოგიას...

აგერ გაღაგანთან ხალხის შუაში ჩამდგარა მამასახლისი, გულზე ჯაჭვი ჰქიდა.

— აბა, რავა ეგონათ იმ კომუნისტებს, დიდხანს ვაბორძიკებდით? — ამაყად ამბობს ის და ათან ხალხს ათეალიერებს.

გოგიას გაუკვირდა და იკითხა: — რაშია საქმე? რა მოხდა? — რა მოხდა და, ძველი მთავრობა დაბრუნდა.

გოგია გაოცებული დგას. კულაკი სიკო წვერებს იგრებს. — დაბრუნდნენ, მამ დაბრუნდნენ! — წამ და უწყუმ იმეორებს ის და თან ვილაცხას ათეალიერებს.

ბოლოს მამასახლისის რაღაც ჩაუფურქნა, მამასახლისმა გოგია და სამი წერა - კითხვის უცოდინარი გლეხი კანცელარიაში შეიხმო.

— აი აქ დაუსვით ჯვარი, რომ თქვენ წერა - კითხვა არ იცით! — უთხრა თვალების ბრიალით მამასახლისმა გლეხებს.

მეორე დღეს მამასახლისმა გოგიას გამოუცხადა, რომ ამ უკანასკნელს (გოგიას) 300 მანეთი ვალი უნდა გადაეხადა კულაკ სიკოსათვის.

— რისი ვალი?! — იკითხა გოგიამ.

— აი საბუთი, შენ მიერ არის დასმული ჯვარი — ძველი ვალი გმართებია მისი! — დაიღრიალა მამასახლისმა.

— სტყუი, შე არამზადავ! — დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა გოგიამ და...

— რა მოგივიდა, კაცო, რა გაყვირებს? — უთხრა ცოლმა, რომელსაც მის ყვირილზე გამოეღვიძა.

— არასფერო, ისე! — წამოიღულღულა გოგიამ და თვალები გაახილა.

— ბიკოს სიზმარი ყოფილა, წამოიძახა განარებულმა და ზეზე წამოძგა.

— ჩამწერე თუ კაცი ხარ წერა-კითხვის სასწავლებლად, ვისწავლი წერა - კითხვას და მერე სადაც გინდათ იქ გადასახლეთ! — უთხრა გოგიამ კომკავშირელ ვანოს, რომელიც წერა - კითხვის უცოდინართა სკოლას ხელომძღვანელობდა.

— სად უნდა გადაგასახლოთ? — გაკვირვებით შეეკითხა ვანო გოგიას.

— რა ვიცი, ამბობენ — ვინც წერა-კითხვა არ იცის, ციმბირში ასახლიობენო.

ვანომ გოგიას ყველაფერი დაწვრილებათ აუხსნა. გოგიამ სიხარულისაგან ქული ქეოში აავლო და ერთიც მაკრად შეუტყურობს კულაკებს და ხუცუნებს, რომლებმაც ასე სასტიკად მოატყუეს.

გირველოხანი სოხო.

ბედ-ტენნიკუმში, გაიხსნა „ბაზრობის“ სეზონი: მასწავლებლები „კორელიციისა და საგნის მთლიანობის“ ინტერესებიდან გამოდიან და მოითხოვენ სამ განაკვეთ ნახევარს.

აბელ კიკვიძე კატეგორიულად აცხადებს: — ხვალიდან მე გაკვეთილებზე არ შევდივარ, თუ გაკვეთილებს მომიკელით, რადგან ეს „პედაგოგიური“ თვალსაზრისით ჩემი ჯიბისათვის მავნებელი არის!

„ბოროტი ენები“ ლაპარაკობენ, რომ „ბაზრობის“ სეზონი მალე პროფეტენიკურ სკოლაშიც გაიხსნებაო, რადგან მაღაგახსნილ მასწავლებლებს 500 მანეთები ელანდებათ და ამიტომ 60 გაკვეთილის აღებასაც კი არ ერიდებიანო.

სკოლის გამგე ცხადია მანაცხადა: გაკვეთილებზე ვაჭრობის სეზონი გახსნილია და მის დამთავრებას იოლად გადავსწავებ, თუ განათლებს განყოფილების გამგე ტიტე დოლიძე საქმეში არ ჩაერიაო, რადგან აღნიშნული ამხანაგი სკოლებთან „დაახლოების“ მიზნით (თუ ჯიბის გასქელების!) ყველა სკოლაში გაკვეთილებს იღებსო.

კლუბის საქმეებიც არეულ-დარეულია. პროფაქტივმა გამოყო კომისია. რომელსაც დაავალა საკლუბო მუშაობის სახეების შემუშავება მართი კვირის განმავლობაში. მართი კვირის შემდეგ შეტრებილია კომისიამ გამოყო მართი კაცი, რომელსაც დაავალა აღნიშნული საქმის შესრულება მართი კვირის განმავლობაში. ლაპარაკობენ: მართი კვირის შემდეგ გამოყოფილი კაცი მოიწვევს კომისიას, კომისია კი — პროფაქტივს, პროფაქტივი — მუშა-მოსამსახურეთა კრებას, რომელიც აირჩევს გამგეობას რომელსაც დავალებს გეგმის შესრულება. მოსამზადებელ მუშაობას დაახლოვებით მოუწოდება სამი თვე.

ნიშაღური.

ქარხნის მოღვაბე

(საკილოა)

ყველა ქარხანა წინ მიდის, გეგმა დაზგამდე მივიდა. მე რას ვაშავებ არ ვიცი, ნეტავი რა მომივიდა?! მუშა ნოღია მომიხსნეს, ვანომ აწამა მტრობითა, ბოლოს გამართლდა პროკოფო, და აღიჭრევა ნდობითა. ნაცდურ დღეების აილო, ვის ვძულვარ ნეტავ მითაგან? შევიდასი რომ მიუთვალე, ცრემლი წამდანდა დვალთაგან. ბრაგუნა.

ხონი

ეპოს სასადილოს გამგე ეზეკია მართალია, მაგრამ დამნაშავე კია.

მართალი, რო იყო, საქმისათვის არ კმარა, უნდა შორს გაქვრეტა, ტრიალი, ვით ჯარა.

ოცდა ერთ ოქტომბერს დილა აღრიანად ეზეკია მიდის

დინჯათ, აზრიანად შევიდა და ნახა რაც მას არა სურდა სალაროში დახვდა რამდენიმე ხურდა.

შეიდასი წელით. გამგეს ეცა ელდა; გული შეუღოლდა, თვალი დაუხნელდა.

ერთი ამბობს: — ქურდი

არის შინაური; უნდა გამოვტყეოთ ავუწიოთ ყური! მეორეს არ სჯერა:

— ეს არ იცის ხონისი. მესამემ ზე შეჭტა „ამისმა გამგონმა“;

ლამით ალბად ქურდი შეიპარებოდა, სასადილო როცა დაიკეტებოდა. რა მაგარი იყო ეზეკიას კასა. ამოიღო ფული და გაუღდა გზასა.

ფული უნდა მივსცეო შემნახველ სალაროს რომ მოღარე — გამგემ თავი დაიფაროს.

ფასკუნჯი.

„სამგებ—ერთხარსმგებ“

(სოფ. სხვადა, რაქა)

ყური დამიგდე, ტარტაროზ, აქ ბოროტება დიდია. ამ სოფლის ხორცმეტ ლასიკოს ყველა ფეხებზე ჰკიდია. გლახს რაც რომ უნდა ვერ უთქვამს იმისი გადამკიდია.

თოფ-იარაღი ბლომად აქვს, ექადის ყველას მითია. ვაამათრახე, ტარტაროზ, ჰე ვისზეც მომითითია,

სხვაგის ლომ-ვეფხვად ცნობილი, მთელი სოფელი მისია; მან გაიყოლა სკოლიდან მოწაფეების ნისია.

—:—

ლასიკოს ავან-ჩავანი გავიცნოთ ვანო ლანდია; ქვრივ-ობლებს ააწიოკებს, რადგან გულითა სწადია.

ლანდია უნდა ავლაგმოთ, სოფლისათვის მეტი ბარჯია, ყოველი მხრიდან წამხდარი სოლოსისათვის ვარჯია.

—:—

მესამე გმირი, ტარტაროზ, პეტრიაშვილი სერგოა, რომელსაც თქვენი მათრახი ლატარიაში ერგოა.

პეტრიაშვილი სოფელში ზნე დაცემული კაცი; უყვარს ზედმეტი ინტრი.

—ხიბში—პრავაკცია.

სხვაველი.



— წამოდი ჩქარა კომისარიატში! — წახვლა რომ შემეძლოს კომისარიატ-კი არა ჩემს სახლში წავიდოდი.

ახირებული ხალხიაო, სწორედ ბალადის გლახობაზე ითქმება.

სერგო მერმანიშვილმა ბევრი ცოდვები ჩაიდინაო, რა ცოდვაა, თუ კომუნისტებში ნოქრობის დროს რაღაც 650 მანეთი გადამცდა ყელში. მერე და თავმჯდომარე ძოწენიძეს ხომ გავასაღებე ვალის დასაფარავად მძარი ღვინო!

400 მანეთი დარჩა კიდეც ჩემზე, მარა განა ამის პარტიების ღირსი არა ვარ ისეთი მოღვაწე კაცი, რომელმაც გოგსაძის ქალი ვიმსახურე ოჯახში ნ თვე და ფულის მიცემის ნაცვლად სამსახურში მოვაწყე!

კულაკების და ვაჭრების დაბეგვრის საკითხი თუ ვინმემ დასვა, შემეწვარ გოვს შავი ღვინოთ ჩავახრამუნებ.

ღედა და რძალი ექიმბაშები მყავს და ავანტყოფ გლახებს დიდხან არ ვაკენებებ, დროზე ვასალმებთ წუთი-სოფელს.

მე როგორც „სოიუზტრანსის“ სალგურის გამგე, ავტომობილზე პირველ რიგში ნაცნობ-ნათესავებს ვაჯენ და პარტის ვცემ.

სამაგეროთ მათგან მიღებულ ფულს, უსაბუთოთ ვებებულობ და ჩემს ჯიბეში ვიიბ; ნაცნობ-ნათესავი ამ შემთხვევაში არ გამცემს და მუშგლებში არ დამაბეზლებს, ისე, როგორც დღემდე არავის დაუბეზლებია კოლიე სულაძე გლახების ცემატყევისა და იარაღის ტრიალისათვის.

ჰო, და, ამის შემდეგ ჰკითხეთ ბალადის გლახობას, ახირებული თვი-თონ არიან თუ მე?

ტარტაროზს მივანდოთ ამის გამო-რკვევა.

მორიელი.

გოდება ბირჟის გამგისა

(ბიათურა)

ბირჟისა გამგე ვახლავარ ე ერთხმად ამორჩეული; ამოწეული მელა ვარ, ახელოსნოდან წვეული.

რა გასაქირში ჩავარდი: აქეთ რათ ექენი პირია? საყვედურები ათასი, ლანძღვა-გინება ხშირია.

ერთად - ერთი ვარ, დამაწვა მე საქმე უშველებელი: გამგეც ვარ, მწერალ-შეკრიკი, ქალაქის დამტარებელი.

შემადგეს ასეთ ოთახში, სულის თქმა ერთობ ძნელია. არვინ კითხულობს ჩემ საქმეს, არსად სჩანს ჩემი მხსნელია.


ათასი შუამდგომლო პირადი, წერილობითა. ჰყრია იქ ინსტანციებში უძრავად, მრავალ წლობი.

კარგი, ჯანაბას, არ მინდ არა ვსთხოვ დახმარებასა, არცა დიდებას, სახელსა, არც ძეგლებს, ქებათქებასა,

მაგრამ ყოველდღე პაქობი რად მომდის წერილებია? მთხოვენ: „გაუშვი საქმეზე ჩემი ძმა, ნათლულ-ბებია“

რა გასაქირში ჩავარდი! აქეთ რათ ექენი პირია? საყვედურები ათასი, ლანძღვა-გინებაც ხშირია...

ვოგია.



გ მ ღ მ რ ი

საიპის მამზობარს (სამტრედია). ვინაიდან წლია აოლომდე (ერთი თვე დარჩენილია) გამოვა „ტარტაროზი“-ს 4 ნომერი, ხოლო თქვენი ქასალა ისეთი დიდია, რომ არ მოთავსდება ამ წლის დარჩენილ ნომრებში, ამიტომ იძულებული გავხდით ხელი აგველო მის დაბეჭდვაზე ა ბოლომდე წაკითხვაზე. შაირია ამაღ კარგი ნაგაძრობას დაზარაგულ ქალაღისა და შრომის დაკარგვის გამო, უკანვე გიგზავნით თქვენს მასალას. (ვამჯობინეთ აბაზი დაგვეხარჯა გამოგზავნაზე, ვიდრე გოღორი ამოგვესო ერთი მასალით და შიგ სხეებისთვის ბინა არ მიგვეცა). გირჩევთ, წაკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“-ს წინასიტყვაობა, სადაც სწერია:

შაირია ამაღ კარგი.

შაირია ამაღ კარგი.

შ. დ.-ნიშვილს (მოლოთი) თქვენზედაც იგივე ითქმის, რაც ზევით ბზიკის მეგობრის მიმართ ვსთქვით.

შავშულს (ქუთაისი) სარეწოა კოოპერატივის ქარხნის გამგეზე გვწერთ, რომ:

მაისუროვს, ქარხნის გამგეს

არ შეშენის ის, რომ

პროტექციის გადაშკიდე

ღამაშ ქაღებს შკისო.

ალბად მალე „რაც დათესა, მასვე მოჰკის“. მოსავალი ვერ იქნება მისთვის კარგი, მაგრამ რა ვუყოთ!

გვაჯანს (სამტრედია). მიუხედავად იმისა, რომ ღორსა (და მეღორეობას) დღეს განსაკუთრებული დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ეს საქციელი მინც დაუშვებელია:

ვერ პირველად ვინახულე

სახადილო ნომერი ორი.

შიგ რომ შეხვალთ, მიგიდებენ

მოკრძალებით, როგორც ღორი.

გორიას („ზაკლებუმტრესტი“) ვათავსებთ თქვენს განცხადებას:

„უგზო-უკვლოდ დაიკარგა შრომის ეკ. განუოფილების გამგე. მპოვნელს ვსთხოვთ „მოიტანოს“ ტრესტში, რადგანაც მას ელოდებიან მთხოვნელები“.

ვინ იცის. ეგებ ამ შემთხვევაში დაკარგვა ჯობია.

ვაშსტს. ჩვენ ფოსტა კი არა ვართ, რომ წერილი გიგზავნოთ მშობლებთან.

ქოპის (აქვე, ინდუბტ. ტენხიკუმში). ასე იწყება თქვენი ლექსი:

ინდუსტრიალურ ტენხიკუმში

სახადილო არის ერთი,

და შიგ ფეხი რომ გადავთ

ახხენოთ უნდა ღმერთი.

მოაწუმუნე ხალხის ტარტაროზს არაფერი უნდა.

ბაჩაჩილს (ხად. შორაპანი). ოთხწლედის გამგესა და მასწავლებელზე გვწერთ:

გამგე და მასწავლებელი

ჩხუბზე არიან ორივე.

ცოტა რამეზე ჩხუბობენ

არავინა ჰყავთ მოზავე.

მით უკეთესი, თუ მოზაეი არავინ არის. თავიც უხლიათ ერთმანეთისათვის.


სტუდენტს (აქვე): ალბად თქვენც ვახსოვთ თქვენი ლექსი: თოვლი და წვიმაა, სახტიკად უინავს.

მზე არ ჩანს ცაზედა, ის აღარ შრწყინავს.

ამაზე მეტი სიცოცხე შეიძლება! ასეთი კარგი დარები იშვიათია ზამთრის დასაწყისში!

ჩედაქტორისაბანს: უურ. „ტარტაროზში“ მოთავსებული წერილი ვანო კომანიძის შესახებ ი. სუფსკლის ხელისმოწერით, არ ეკუთვნის მველაძეს და მოისწრაფე-შვილს.

№ 345
1930



— ეშმაკი ხალხია კომუნისტების ომის წინააღმდეგი არიან, და ამავე დროს ომისთვის მზად არიან! მაშ რას ნიშნავს ასეთი დიდი აღმშენებლობა?!